მიხეილ ბახტაძე
Mikheil Bakhtadze
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

ფეოდალური ელიტა XI-XIII საუკუნეებში
Feudal System in XI-XIII Centuries

საკვანძო სიტყვები: *ფეოდალიზმი, ელიტა, საქართველო*
Keywords: *Feudal System, Elite, Georgia*

რას ვგულისხმობ ფეოდალურ ელიტაში? იმ 7-8 ფეოდალურ საგვარეულოს რომლებიც ყველაზე ახლოს იყვნენ მეფესთან, რომელთა წარმომადგენლებსაც ეკავათ უმაღლესი თანამდებობები და ჰქონდათ დიდი პოლიტიკური გავლენა.

ბაგრატ III. ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ მეფის დასაყრდენი დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს დიდებულები იქნებოდნენ.

გიორგი I-ის, ბაგრატ IV-ისა და გიორგი II-ის დროსაც ძირითადად იგივე ვითარება უნდა ყოფილიყო.

დავით IV აღმაშენებლის დროს ვითარება იცვლება. ჩნდებიან ახალი საგვარეულოები ანუ ხდება ელიტაში ცვლილება და ჩნდებიან აღმოსავლეთ საქართველოს ფეოდალებიც.

დემეტრე I-ის ვფიქრობ, რომ დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს დიდებულთა უპირატესობა უნდა შენარჩუნებულიყო.

გიორგი III-ის დროს ნელ-ნელა მატულობს აღმოსავლეთ საქართველოს ფეოდალთა გავლენა. თუმცა ორბელთა დამხობა კვლავ ამყარებს დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს ფეოდალთა პოზიციებს.

თამარ მეფე. დასაწყისში დასავლელთა უპირატესობა და გავლენა აშკარაა. როდესაც დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს ფეოდალები აჯანყდნენ, ამით დაიწყო მათი „დამცრობა“ და სამაგიეროდ აღმოსავლეთ საქართველოს ფეოდალთა გავლენის ზრდა.

ვითარება ნარჩუნდება საუკუნეზე მეტ ხანს. არის ცვლილება როდესაც მონღოლთა პერიოდში ელიტაში შედიან ცალკეული პირები მაგრამ ეს დროებითია. გიორგი V-ის დროს მეფის რისხვა თავს დაატყდათ აღმოსავლეთ საქართველოს ფეოდალებს. როგორ აისახა ეს დასავლელთა გავლენის ზრდაზე ძნელი სათქმელია. აი, XV საუკუნეში კი

სერიოზული ცვლილებები ხდება ელიტაში. აღმოსავლეთ საქართველოში ფაქტობრივად სრულად იცვლება. დასავლეთში კი მხოლოდ რამდენიმე საგვარეულოღა ინარჩუნებს პოზიციებს.

What do I mean by feudal elite? The 7-8 feudal clans that were closest to the king, whose representatives held the highest positions and had great political influence.

Bagrat III. It is logical to assume that the king's stronghold would be the feudal elite of western and southern Georgia.

George I, Bagrat IV and George II. The situation must have been basically the same.

Davit IV Agmashenebeli. New clans appear, that is, there is a change in the elite, and feudal lords of Eastern Georgia also appear.

Demetrius I. The superiority of the nobles of western and southern Georgia should have been preserved.

George III. The influence of the feudals of Eastern Georgia is gradually increasing. However, the overthrow of the Orbels still strengthens the positions of the feudal lords of western and southern Georgia.

Queen Tamar. At the beginning, the superiority and influence of the Westerners is obvious. When the feudal lords of western and southern Georgia rebelled, this started their ~downfall~ and instead the influence of the feudal lords of eastern Georgia increased.

The situation persists for more than a century. There is a change when certain individuals enter the elite during the Mongol period, but it is temporary. During the George V, the feudals of Eastern Georgia fell under the wrath of the king. How this af-

fected the growth of Western influence is difficult to say. In the 15th century, serious changes took place in the elite. Eastern Georgia is actually completely changing. In the West, only a few clans maintain their positions.